საქართველოს მთავრობის

დადგენილება №126

2010 წლის 24 აპრილი

ქ. თბილისი

ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ

მუხლი 1

სოციალური დახმარების მიზანმიმართულებისა და ეფექტიანობის გაზრდის, თანამედროვე გამოცდილების დანერგვის მიზნით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „d“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა მიზანმიმართულად დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით შეიქმნას სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზა და დამტკიცდეს მისი ფორმირების თანდართული წესი.

2. ამ დადგენილებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული ღონისძიების შეუფერხებელი და სრულფასოვანი ადმინისტრირების მიზნებისათვის:

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა სსიპ – სახელმწიფო სერვისებ განვითარების სააგენტომ და სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, საქართველოს ფინანსი სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალმა სსიპ – შემოსავლების სამსახურმა, საქართველოს შინაგ საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყ მათ ხელთ არსებული მონაცემთა ბაზების და/ან საჭირო ინფორმაციის პერიოდულად მიწოდება საქართველ ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრ სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის, მხარეთა შორ გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად;

ბ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს:

ბ.ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციასა და განმეორებ გადამოწმებასთან დაკავშირებული განაცხადის ფორმის, მისი მიღებისა და აღრიცხვის წესის დამტკიცება;

ბ.ბ) სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წეს დამტკიცება;

ბ.გ) მონაცემთა ბაზის ფორმირების პროცესში წარმოშობილ ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად საჭირ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მომზადება და გამოცემა;

გ) ყველა ადმინისტრაციულმა ორგანომ შეუფერხებლად უზრუნველყოს მათ ხელთ არსებული მონაცემ ბაზების და/ან საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდ დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლ დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის, მხარეთა შორის გაფორმებულ შეთანხმების და/ან მოთხოვნის შესაბამისად.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ამ დადგენილებით დელეგირებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში საკუთარი პასუხისმგებლობით უზრუნველყონ თანდართული წესით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება და განსახორციელებელ ღონისძიებებში მონაწილეობა.

4. სახელმწიფო რწმუნებულებმა – გუბერნატორებმა ხელი შეუწყონ ქვეყანაში სოციალური სისტემის რეფორმის ორგანიზებულად განხორციელებას და შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის დაკისრებული ფუნქციების განხორციელებას.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 ივლისის დადგენილება №295 – ვებგვერდი, 27.07.2012წ.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 მაისის დადგენილება №217 – ვებგვერდი, 19.05.2015წ.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №672 - ვებგვერდი, 31.12.2018წ.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 17 მარტის №51 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება, გარდა პირველი მუხლის მე-2 პუნქტისა, ამოქმედდეს 2010 წლის 1 ივნისიდან.

მუხლი 4

დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი ნ. გილაური

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესი

თავი I. ზოგადი დებულებები

ეს წესი, საქართველოში მოქმედი სოციალური დახმარების სისტემის მიზანდასახულობის, ეფექტიანობის ამაღლებისა და აღრიცხვიანობის მოწესრიგების მიზნით, ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიკაციას, აღრიცხვასა და მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნას, განსაზღვრავს პროცესის მონაწილე ადმინისტრაციული ორგანოების უფლებამოსილებებსა და კომპეტენციას, მის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა ორგანიზაციულ საკითხებს.

მუხლი 1. მიზნები და ამოცანები

1. ამ წესის მიზანია განსაზღვრული მეთოდოლოგიის გამოყენებით სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის (შემდგომში – მონაცემთა ბაზა) ფორმირება, რომლებიც საჭიროებენ სოციალურ დახმარებას და შეიძლება გახდნენ ამ დახმარების მიმღებნი.
2. ამ წესის ამოცანაა შესაბამისი პროცესის ორგანიზება მეთოდოლოგიური და ტექნიკური ბაზისის შესაქმნელად, რომელიც გამოყენებულ იქნება სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე სოციალური დახმარების მიზანმიმართულად და ეფექტიანად განაწილებისათვის.
3. მონაცემთა ბაზის ფორმირება წარმოებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ წესით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

ა) **მაძიებელი** – მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მსურველი ოჯახი, რომელიც შეიძლება გახდეს სოციალური დახმარების მიმღები;

ბ) ოჯახი – ამ წესის მიზნებისათვის, განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას. ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი. ოჯახის შემადგენლობაში არ გაითვალისწინება:

ბ.ა) სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებული, რომელსაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა;

ბ.ბ) იძულებით სამკურნალოდ გაგზავნილი პირი;

ბ.გ) ვადიან სამხედრო სამხედრო სამსახურში მყოფი პირი (გარდა იმ პირისა, რომელიც სამხედრო სამსახურ შესრულებისას სამ დღეში ერთხელ მაინც ბრუნდება ოჯახში);

ბ.დ) ქვეყნის ფარგლებს გარეთ ზედიზედ სამ თვეზე მეტი ვადით წასული პირი;

ბ.ე) სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირი;

ბ.ვ) სპეციალიზებულ დაწესებულებაში სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფი პირი;

ბ.ზ) პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი ბრალდებული;

გ) შინასამეურნეო საქმიანობა – ოჯახის საკეთილდღეოდ მიმართული საქმიანობა, რომელიც ითვალისწინებს საცხოვრებელი ადგილის ერთობლივ გამოყენებას, მის მოვლა-პატრონობას, ოჯახისათვის საჭირო საარსებო საშუალებათა მოპოვებასა და ამ საშუალებების (ფული, პროდუქტები, ტანსაცმელი და ა. შ.) ოჯახის საკეთილდღეოდ განკარგვა-განაწილებას;

დ) სოციალური დახმარება – ნებისმიერი სახის მატერიალური და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელიც მიმართულია მაძიებელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ;

ე) სააგენტოს უფლებამოსილი პირი – სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, რომელიც დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად ახორციელებს ოჯახის სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა - შეფასებას;

ვ) განაცხადი – სპეციალური ფორმა, რომელსაც ავსებს მაძიებელი მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციისათვის აღრიცხვაზე ასაყვანად;

ზ) ოჯახის საიდენტიფიკაციო კოდი – სპეციალური უნიკალური ნომერი, რომელიც იძლევა ოჯახის იდენტიფიკაციის საშუალებას და ქმნის მის შესახებ არსებული ინფორმაციის ერთიან კოდიფიცირებულ სისტემას;

თ) ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი – მაძიებლის სხვა წევრთა ნდობით აღჭურვილი ოჯახის სრულწლოვანი ქმედუნარიანი წევრი ან მაძიებლის კანონიერი წარმომადგენელი, რომელიც კისრულობს პასუხისმგებლობას სააგენტოსათვის მიწოდებული მონაცემების სისწორისათვის;

ი) მეთოდოლოგია – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმებისა და მახასიათებლების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად;

კ) **სარეიტინგო ქულა** – პირობითი ერთეული, რომელიც მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელია;

ლ) **ამონაწერი** – ოჯახის სრულწლოვანი, ქმედუნარიანი წევრის ან კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნის საფუძველზე გაცემული დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია მონაცემთა ბაზაში ოჯახის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ამონაწერის ფორმასა და მისი გაცემის საკითხებს არეგულირებს სააგენტო;

მ) **დემოგრაფიული ცვლილება** - ოჯახის წევრთა შემადგენლობის ცვლილება;

ნ) **არამომუშავე შრომისუნარიანი წევრი** – პირი, რომელიც არ მიეკუთვნება შემდეგ კატეგორიას:

ნ.ა) სარეცელს მიჯაჭვული/ლოგინად ჩავარდნილი;

ნ.ბ) დაუხმარებლად გადაადგილება არ შეუძლია და/ან საჭიროებს მომვლელს;

ნ.გ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (I ჯგუფი);

ნ.დ) მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (II ჯგუფი);

ნ.ე) ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირი;

ნ.ვ) საპენსიო ასაკს მიღწეული პირი (ქალი – 60 წელი, მამაკაცი – 65 წელი);

ნ.ზ) 18 წლამდე ასაკის პირი.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 მაისის დადგენილება №217 – ვებგვერდი, 19.05.2015წ.
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 ივნისის დადგენილება №270 - ვებგვერდი, 02.06.2017წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №672 - ვებგვერდი, 31.12.2018წ.

მუხლი 3. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზის ფორმირება

მონაცემთა ბაზის ფორმირება ერთიანი სამართლებრივი პროცესია და მოიცავს:

ა) მაძიებლის განაცხადის მიღებას და დამუშავებას;

ბ) მაძიებლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებას;

გ) სარეიტინგო ქულის მინიჭებას;

დ) შესაბამის მონაცემთა დამუშავებას, ანალიზს, განახლებას და მონიტორინგს.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 მაისის დადგენილება №217 – ვებგვერდი, 19.05.2015წ.

თავი II. მაძიებლის განაცხადის მიღება

მუხლი 4. მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციისათვის მიმართვა

მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციისათვის მიმართვა შეუძლია ოჯახს, რომელიც მიიჩნევს, რომ თავისი სოციალურ-ეკონომიკური პირობების მიხედვით იმყოფება სოციალურად დაუცველ მდგომარეობაში, საჭიროებს დახმარებას და შეიძლება გახდეს ამ დახმარების მიმღები.

მუხლი 5. განაცხადის მიღება აღრიცხვაზე ასაყვანად

1. მაძიებელთა აღრიცხვის ორგანიზებას უზრუნველყოფს სააგენტო თავისი ტერიტორიული ერთეულების მეშვეობით.

2. მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციისათვის მაძიებელი ავსებს დადგენილი ფორმის განაცხადს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

3. სააგენტო უზრუნველყოფს განაცხადის ფორმის მაძიებლისათვის ხელმისაწვდომობას და მაძიებლის მიერ შევსებული განაცხადის მიღებას.

4. განაცხადის შევსება და წარდგენა შეუძლია მაძიებლის უფლებამოსილ წარმომადგენელს.

5. (ძალადაკარგულია - [საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება №2/3/663– ვებგვერდი, 16.05.2018წ.](#))

6. (ამოღებულია - 29.12.2018, №672).

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 მაისის დადგენილება №115 – ვებგვერდი, 20.05.2013წ.
[საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება №2/3/663 – ვებგვერდი, 16.05.2018წ.](#)
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №672 - ვებგვერდი, 31.12.2018წ.

მუხლი 6. ოჯახის უფლება-მოვალეობანი

1. განაცხადის შევსება და სააგენტოში ჩაბარება ადასტურებს, რომ ოჯახი თანახმაა :

ა) მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მიზნით დღე - ღამის განსაზღვრულ პერიოდში (დილის 8:00 საათიდან საღამოს 10:00 საათამდე) დაუბრკოლებლად შეუშვას სააგენტოს უფლებამოსილი პირი თავის საცხოვრებელ ბინაში, მისცეს მას საშუალება სრულად დაათვალიეროს ოჯახის მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართობი თუ საერთო სარგებლობის სათავსები, შეამოწმოს ყოფითი პირობები;

ბ) ობიექტური პასუხები გასცეს უფლებამოსილი პირის შეკითხვებს და არ დაამახინჯოს ფაქტები, მოთხოვნისამებრ წარადგინოს საჭირო დოკუმენტები, ხელი მოაწეროს გამოკითხვის შედეგად შევსებულ დოკუმენტს, განსხვავებული აზრის არსებობისას დააფიქსიროს საკუთარი შენიშვნები;

გ) სააგენტომ ნებისმიერი წყაროდან მოიპოვოს საჭირო ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება ოჯახის ან მისი ცალკეული წევრ(ებ)ის იდენტიფიკაციას, ფინანსურ და ქონებრივ მდგომარეობას, პერსონალურ და სხვა მონაცემებს, რაც უკავშირდება მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციას;

დ) ოჯახის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის, დემოგრაფიული (ოჯახის წევრ(ებ)ის გარდაცვალება,

გამოკლება, დამატება (გარდა ამ წესის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), საზღვარგარეთ 3 თვეზე მეტი ვადით წასვლა) ან სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეცვლის შესახებ აცნობოს სააგენტოს ამ ცვლილებიდან ერთი თვის ვადაში;

ე) მიეცეთ მოპოვებული ინფორმაცია სხვა სოციალური დახმარების დამნიშვნელ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რაც მიმართული იქნება მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ;

ვ) სოციალური დახმარების დანიშვნის ან სახელმწიფოს მიერ დადგენილი სხვა შეღავათებით სარგებლობის უფლების მოპოვების შემთხვევაში, ოჯახის მიერ სოციალური დახმარების (შეღავათის ან სხვა სახის სარგებლის) მიღების თაობაზე ინფორმაცია გახდეს საჯარო;

ზ) ამ წესის მიზნებისთვის განსაზღვრული, ოჯახის არამომუშავე შრომისუნარიანი წევრი ამ წესით გათვალისწინებული პირობებით დარეგისტრირდეს „სამუშაოს მაძიებლად“ შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო პორტალზე – www.worknet.gov.ge.

1^1. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა ვრცელდება:

ა) ერთწევრიანი ოჯახის შემთხვევაში;

ბ) 2 და მეტი წევრისგან შემდგარი ოჯახის შემთხვევაში, თუ ოჯახში ერთზე მეტი არამომუშავე შრომისუნარიანი წევრია.

1^2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებად ითვლება მხოლოდ ოჯახის წევრ(ებ)ის შემოსავლის გაზრდა/გაჩენა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მიწოდებულ ხელზე აღებული ხელფასის (ყველა სხვა ანაზღაურების ჩათვლით) ოდენობას (საშუალოდ, ბოლო 4 თვეში ოჯახის ერთ წევრზე გაანგარიშებული) და „ოჯახის დეკლარაციის“ შესაბამის გრაფაში – „ხელფასი (ყველა სხვა სახის ანაზღაურების ჩათვლით)“ დაფიქსირებულ (საშუალოდ, ოჯახის ერთ წევრზე გაანგარიშებული) ოდენობას შორის სხვაობა ტოლია ან ნაკლებია 175 ლარზე), უძრავი ქონების ან/და „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებით დამტკიცებული მეთოდოლოგიით გათვალისწინებული მოძრავი ქონების შეძენა.

2. ოჯახს უფლება აქვს :

ა) გაეცნოს მონაცემთა ბაზაში მის შესახებ არსებულ ინფორმაციას;

ბ) მოითხოვოს მის შესახებ არსებულ მონაცემებში ცვლილებების (შესწორებების) შეტანა;

გ) მოითხოვოს ამონაწერი მონაცემთა ბაზიდან;

დ) ისარგებლოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 ივნისის დადგენილება №270 - ვებგვერდი, 02.06.2017წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №672 - ვებგვერდი, 31.12.2018წ.

მუხლი 7. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებანი

1. მაძიებელთა იდენტიფიკაციისა და აღრიცხვის პროცესი ემყარება საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ინტერესების ერთიანობას, რაც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ერთობლივი მონაწილეობით.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები :

ა) ეხმარებიან სააგენტოს უფლებამოსილ პირ(ებ)ს შესაბამის ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ ერთეულებში მაძიებელთა საცხოვრებელი ადგილის დადგენაში;

ბ) უზრუნველყოფენ თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე უკიდურეს სიღატაკეში მყოფი ოჯახების მოძიებას და ხელს უწყობენ მათ მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის პროცედურის გავლაში;

გ) საკუთარი კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფენ რეგისტრირებული ოჯახების შესახებ საჭირო ინფორმაციის მოძიებასა და სააგენტოსათვის მიწოდებას მონაცემთა ბაზაში დაცული მონაცემების სრულყოფის მიზნით;

დ) უფლებამოსილი არიან, მონაწილეობა მიიღონ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებაში, დადგენილი წესის შესაბამისად;

ე) ახორციელებენ მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში არსებული პირობების, დემოგრაფიული მდგომარეობის, ეკონომიკური თუ ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით სოციალურ საკითხთა გადაწყვეტისა და სოციალური დახმარების უკეთ დაგეგმვისათვის იყენებენ მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემებს.

თავი III. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზა

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 მაისის დადგენილება №217 – ვებგვერდი, 19.05.2015წ.

მუხლი 8. მონაცემთა ბაზა

1. მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი დაცვის გაუმჯობესებისა და ერთიანი საინფორმაციო სისტემის დანერგვის მიზნით სააგენტო ქმნის „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა

ერთიან ბაზას“.

2. მონაცემთა ბაზა მოიცავს ცნობებს ოჯახის და მისი თითოეული წევრის შესახებ, საცხოვრებელი ადგილის, განათლების და ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის თაობაზე, ასევე, ინფორმაციას, მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ პირთა საარსებო შემწეობის გაცემის, შეჩერების, განახლების და შეწყვეტის შესახებ და სხვა ინფორმაციას, რაც უკავშირდება სააგენტოს მიერ პროგრამის ადმინისტრირებას.

3. მონაცემთა ბაზა გამოიყენება სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, აგრეთვე სოციალური დახმარების უზრუნველმყოფი სხვა ორგანიზაციების მიერ სოციალური დახმარების დასაგეგმად საჭირო ინფორმაციის სწრაფი მოძიებისა და სოციალური დახმარების პროგრამების მონაწილეთა შერჩევისათვის.

4. მონაცემთა ბაზაში მიწოდებული ინფორმაციის სისწორისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამ ინფორმაციის გამცემ ოჯახის წევრ(ებ)ს, შესაბამის ორგანოს თუ დაწესებულებას.

5. ოჯახი მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულად ითვლება, თუ მას მინიჭებული აქვს სარეიტინგო ქულა.

6. სარეიტინგო ქულის მისანიჭებლად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დასადგენად და საჭირო პროცედურების გასატარებლად გამოიყენება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული ვადები.

7. ოჯახს მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია შეიძლება შეუწყდეს:

ა) ოჯახის წევრის განცხადების წარდგენის შემთხვევაში;

ბ) ოჯახის მიერ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას ყალბი და/ან არასწორი მონაცემების მიწოდების შემთხვევაში;

გ) შემოსავლების გაზრდის/გაჩენის შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მიწოდებულ ხელზე აღებული ხელფასის (ყველა სხვა ანაზღაურების ჩათვლით) ოდენობასა (საშუალოდ, ბოლო 4 თვეში ოჯახის ერთ წევრზე გაანგარიშებული) და „ოჯახის დეკლარაციის“ შესაბამის გრაფაში – „ხელფასი (ყველა სხვა სახის ანაზღაურების ჩათვლით)“ დაფიქსირებულ (საშუალოდ, ოჯახის ერთ წევრზე გაანგარიშებული) ოდენობას შორის სხვაობა ტოლია ან ნაკლებია 175 ლარზე;

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ე) თუ ოჯახის არამომუშავე შრომისუნარიანი წევრი ამ წესით გათვალისწინებული პირობებით არ დარეგისტრირდა „სამუშაოს მაძიებლად“ შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო პორტალზე– www.worknet.gov.ge.

8. მონაცემთა ბაზის ფორმირებასთან და/ან ადმინისტრირებასთან დაკავშირებით წარმოებული დოკუმენტები ინახება არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ დოკუმენტების შენახვის (ან დაარქივების) შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სააგენტო.

9. სააგენტოს მიერ, დადგენილი წესის შესაბამისად, გაცემულ ამონაწერს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც დოკუმენტ(ებ)ს, რომლის საფუძველზეც გაკეთდა ჩანაწერი მონაცემთა ბაზაში.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 აგვისტოს დადგენილება №389 - ვებგვერდი, 09.08.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 ივნისის დადგენილება №270 - ვებგვერდი, 02.06.2017წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №672 - ვებგვერდი, 31.12.2018წ.

მუხლი 9. მონაცემთა ბაზის კორექტირება

1. სააგენტო მოიძიებს და იღებს ინფორმაციას ოჯახთან დაკავშირებით მომხდარი ცვლილებების შესახებ. ცვლილების შინაარსი შეიძლება ეხებოდეს წევრის დაბადებას, გარდაცვალებას, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის არსებით შეცვლას (დასაქმება, ლეგალური შემოსავალი და ა.შ.), ოჯახის ან მისი რომელიმე წევრის მიერ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლას და სხვ.

2. მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ან რეგისტრაციის მაძიებელი ოჯახის იმ მონაცემების კორექტირება, რომელთა შეცვლაც გამოიწვევს სარეიტინგო ქულის ცვლილებას, შესაძლებელია ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებიდან, მომდევნო 90 (ოთხმოცდაათი) დღის განმავლობაში. ამ კორექტირებასთან დაკავშირებით, სააგენტოს უფლებამოსილი პირი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში დაშვებული შეცდომის (ხარვეზის) გამოსწორების მიზნით, შესაბამისი ცვლილების/დამატების შეტანა შესაძლებელია, ამავე პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, ან დაინტერესებული მხარის მიმართვის შემთხვევაში, თუ ეს მიმართვა გაკეთებულია აქტის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში. ამ პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, კორექტირება დასაშვებია ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შეფასების საფუძველზე.

3. სააგენტო უფლებამოსილია, ოჯახში განხორციელებული დემოგრაფიული ცვლილების შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ოჯახის წევრის დაბადებას (შვილად აყვანას), ავტომატურად შეიტანოს შესაბამისი ინფორმაცია მონაცემთა ბაზაში, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შეფასების გარეშე და ახალი სარეიტინგო ქულის გადათვლა მოახდინოს, ოჯახის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ოჯახის წევრის ავტომატურად დამატება დასაშვებია, თუ ოჯახის ბოლო შეფასებიდან და ბავშვის დაბადებიდან (შვილად აყვანიდან) არ არის გასული 2 წელი.

5. სააგენტო უფლებამოსილია, მიღებული ან აღმოჩენილი (გამოვლენილი), დადასტურებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც უკავშირდება მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური

მდგომარეობის შეცვლას, მიიღოს გადაწყვეტილება, სარეიტინგო ქულის არსებული წესით ცვლილების თაობაზე, რაც ეცნობება დაინტერესებულ მხარეს. სარეიტინგო ქულის შეცვლა დასაშვებია სტიქიური უბედურების ან დაუძლეველი ძალის გამომწვევი სხვა მოვლენებით მიყენებული ზიანის ფარგლებშიც.

6. დადასტურებულ ინფორმაციად მიიჩნევა სააგენტოს მიერ შესაბამისი ორგანიზაცია - დაწესებულებებიდან მიღებული (მოპოვებული) წერილობითი დოკუმენტი, სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი წერილობითი დასკვნა, ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის ან ოჯახის წევრის მიმართვა, ან/და სხვა აღმოჩენილი (გამოვლენილი) გარემოებები თუ ფაქტი, რაც იძლევა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების საფუძველს.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის დადგენილება №230 – ვებგვერდი, 19.03.2014წ.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 მაისის დადგენილება №217 – ვებგვერდი, 19.05.2015წ.

მუხლი 9[1]. მონაცემთა ბაზის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირები

1. მონაცემთა ბაზის გამართულ ფუნქციონირებაზე, მუდმივ განახლებაზე, ანალიზსა და დამუშავებაზ პასუხისმგებელია სააგენტო.

2. მონაცემთა ბაზის დამუშავება და ინფორმაციის გენერირება ხორციელდება სააგენტოს მიერ დადგენილ წესით.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 მაისის დადგენილება №217 – ვებგვერდი, 19.05.2015წ.

თავი IV. ოჯახის სოციალურ -ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება და სარეიტინგო ქულა

მუხლი 10. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება

1. განაცხადის შეტანის შემდეგ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება ხორციელდება უფლებამოსილი პირის მეშვეობით, დადგენილი მეთოდოლოგიისა და წესების შესაბამისად.

1[1]. ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებამდე სააგენტო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ – შემოსავლების სამსახურის (შემდგომში – შემოსავლების სამსახური) მონაცემთა ბაზაში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაბამის უფლებამოსილ პირს აწვდის ინფორმაციას განაცხადში მითითებული ოჯახის ყოველი წევრის შემოსავლების შესახებ.

1[2]. ოჯახის შემოსავლებში, როგორც დროებითი ხასიათის მქონე შემოსავალი, არ გაითვალისწინება საარჩევნო პერიოდში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად დანიშვნის/არჩევის გამო, არჩევნების დღემდე 30-ე დღიდან ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენამდე, არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან მიღებული ხელფასი.

1[3]. ოჯახის შემოსავლებში, როგორც ერთჯერადი ხასიათის შემოსავალი, არ გაითვალისწინება „მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის №193 განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული გეგმის ფარგლებში სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის გაცემული კომპენსაცია.

1[4]. ოჯახის შემოსავლებში, როგორც დროებითი ხასიათის მქონე შემოსავალი, არ გაითვალისწინება საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ფარგლებში სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში შტატგარეშე მოსამსახურედ დანიშვნის შედეგად მიღებული ხელფასი.

1[5]. ოჯახის შემოსავლებში, როგორც დროებითი ხასიათის მქონე შემოსავალი, არ გაითვალისწინება 2015 წლის 13-14 ივნისს ქ. თბილისში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის გაცემული ფულადი თანხა/კომპენსაცია/დახმარება.

1[6]. ოჯახის შემოსავლებში არ გაითვალისწინება „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სოციალური შეღავათები.

1[7]. ოჯახის შემოსავლებში არ გაითვალისწინება „თავდაცვის ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული სამხედრო სარეზერვო სამსახურში ჩარიცხული პირ(ებ)ის მიერ ამავე კანონის შესაბამისად მიღებული ხელფასი/შემოსავალი.

1[8]. ოჯახის შემოსავლებში არ გაითვალისწინება სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული პირებისთვის (ეკომიგრანტი) პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარება.

2. სააგენტოს უფლება აქვს, ოჯახის წევრის ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას არასწორი და/ან ყალბი ინფორმაციის მიწოდების დადგენის შემთხვევაში, შეუწყვიტოს რეგისტრაცია მონაცემთა ბაზაში ან უარი უთხრას მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციაზე ან აუკრძალოს ოჯახს მომდევნო ერთი წლის განმავლობაში განმეორებით მოითხოვოს მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია. რეგისტრაციის შეწყვეტის/რეგისტრაციაზე უარის შემთხვევაში, ოჯახის განაცხადი ავტომატურ რეჟიმში ძალას კარგავს მონაცემთა ბაზაში მოსახვედრად.

2[1]. სააგენტო უფლებამოსილია, მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, მიიღოს გადაწყვეტილება,

ოჯახისათვის მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მიზნით, მომდევნო ერთი წლის განმავლობაში, განმეორებითი რეგისტრაციის აკრძალვის გაუქმების შესახებ.

3. სააგენტო უფლებამოსილია, უარი განაცხადოს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების თაობაზე იმ შემთხვევაში, თუ ოჯახს მათივე მოთხოვნით შეუწყდა მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია და ამ მოთხოვნიდან არ არის გასული ერთი წელი.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული შეზღუდვა ვრცელდება ოჯახის თითოეულ სრულწლოვან, ქმედუნარიან წევრზე, მიუხედავად იმისა, შეიცვლის თუ არა იგი მუდმივ საცხოვრებელ ადგილს.

5. სააგენტო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით უზრუნველყოს რეგისტრირებული ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შეფასება.

6. მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახი, რომელიც მიიჩნევს, რომ მისთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულა არ შეესაბამება მის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, უფლება აქვს მოითხოვოს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შეფასება სარეიტინგო ქულის მინიჭებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 ივლისის დადგენილება №267 – ვებგვერდი, 07.07.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 7 მაისის დადგენილება №115 – ვებგვერდი, 20.05.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 მაისის დადგენილება №133 – ვებგვერდი, 31.05.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ივნისის დადგენილება №15 4 – ვებგვერდი, 2 1.06.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 16 სექტემბრის დადგენილება №238– ვებგვერდი, 16.09.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის დადგენილება № 230 – ვებგვერდი, 19.03.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აგვისტოს დადგენილება №465 – ვებგვერდი, 05.08.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 მაისის დადგენილება №217 – ვებგვერდი, 19.05.2015წ.
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ივლისის დადგენილება №338 – ვებგვერდი, 13.07.2015წ.
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №674 - ვებგვერდი, 31.12.2015წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 აგვისტოს დადგენილება №389 - ვებგვერდი, 09.08.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №672 - ვებგვერდი, 31.12.2018წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 მაისის დადგენილება №332 – ვებგვერდი, 29.05.2020წ.

მუხლი 11. სააგენტოს უფლებამოსილი პირი

უფლებამოსილი პირი დაკისრებული ფუნქციებისა და უფლება - მოვალეობების ფარგლებში :

ა) უზრუნველყოფს მაძიებლის ინტერვიუირებას;

ბ) ადგენს მაძიებლის განაცხადში შეტანილ მონაცემთა სიზუსტეს;

გ) ახდენს მაძიებლის ქონებისა და ყოფითი პირობების შესწავლა - შეფასებას დადგენილი წესების შესაბამისად;

დ) ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 7 მაისის დადგენილება №115 – ვებგვერდი, 20.05.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 მაისის დადგენილება №133 – ვებგვერდი, 31.05.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ივნისის დადგენილება №154 – ვებგვერდი, 2 1.06.2013წ.

მუხლი 12. სარეიტინგო ქულა

1. ოჯახის იდენტიფიკაციის შედეგად მოპოვებული ინფორმაციისა და დადგენილი მეთოდოლოგიის გამოყენებით განისაზღვრება სარეიტინგო ქულა.

1^1. ამ წესის მე-10 მუხლის 1^1 პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემთა ბაზაში დაცული ინფორმაცია სააგენტოს მიეწოდება შეთანხმებული ფორმატით, სააგენტოსთან გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად.

2. მინიჭებული სარეიტინგო ქულა მყარი ერთეულია, რომლის შეცვლა, როგორც წესი, შესაძლებელია მისი მინიჭებიდან სულ ცოტა ერთი წლის გასვლის შემდეგ, გარდა მე-9 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტებით და მე-10 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. სარეიტინგო ქულის მინიჭების თარიღად მიიჩნევა დადგენილი წესის შესაბამისად ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების დღის მომდევნო ოცდამეათე კალენდარული დღე, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

4. ამ წესის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სარეიტინგო ქულის მინიჭების თარიღად მიიჩნევა, სააგენტოს მიერ მონაცემების კორექტირების თაობაზე, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების დღის მე-15 კალენდარული დღე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კორექტირების შესახებ გამოცემულია ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების თარიღიდან არა უმეტეს 16 კალენდარული დღის განმავლობაში, მაშინ სარეიტინგო ქულის მინიჭების თარიღად მიიჩნევა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების დღის მომდევნო 30-ე კალენდარული დღე.

5. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სარეიტინგო ქულასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სააგენტო პერიოდულად, მაგრამ ოთხ წელიწადში ერთხელ მაინც, უზრუნველყოფს მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული იმ ოჯახების გადამოწმებას, რომლებიც მინიჭებული სარეიტინგო ქულის საფუძველზე, ღებულობენ სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად, ფულადი სახის სახელმწიფო გასაცემელს.

6. ოჯახს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი სარეიტინგო ქულა განესაზღვრება, თუ ამ წესით დადგენილი პირობების შესაბამისად არამომუშავე შრომისუნარიანი წევრი დარეგისტრირდება „სამუშაოს მაძიებლად“ შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო პორტალზე –www.worknet.gov.ge.

7. იმ შემთხვევაში, თუ ამ წესით დადგენილი პირობების შესაბამისად ოჯახის არამომუშავე შრომისუნარიანი წევრი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების დღის მომდევნო 30-ე კალენდარულ დღემდე არ დარეგისტრირდება „სამუშაოს მაძიებლად“ შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო პორტალზე – www.worknet.gov.ge, შეწყდება მონაცემთა ერთიან ბაზაში ოჯახის რეგისტრაციის პროცესი.

8. იმ შემთხვევაში, თუ ამ წესით დადგენილი პირობების შესაბამისად ოჯახის არამომუშავე შრომისუნარიანი წევრი დეკლარაციის შევსებიდან 3 თვის გასვლის შემდეგ გააუქმებს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო პორტალზე – www.worknet.gov.ge „სამუშაოს მაძიებლად“ რეგისტრაციას (საკუთარი პროფილი), ოჯახს გაუუქმდება მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 აპრილის დადგენილება №147 – ვებგვერდი, 27.04.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 მაისის დადგენილება №115 – ვებგვერდი, 20.05.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 მაისის დადგენილება №133 – ვებგვერდი, 31.05.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ივნისის დადგენილება №154 – ვებგვერდი, 21.06.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 მაისის დადგენილება №217 – ვებგვერდი, 19.05.2015წ.
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 ივნისის დადგენილება №270 - ვებგვერდი, 02.06.2017წ.

მუხლი 12[1]. გარდამავალი დებულებები

1. 2015 წლის პირველი მაისიდან, „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებით დამტკიცებული მეთოდოლოგიის ფარგლებში, მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შეფასება განხორციელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული გრაფიკის და/ან სააგენტოს ინიციატივით, მიუხედავად, მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის მიმართვისა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შეფასების თაობაზე.

2. „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №7 დადგენილებით განსაზღვრულ გარდამავალ პერიოდში კომუნალური მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციების მიერ წარმოებულ ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში არსებული ინფორმაცია არ წარმოადგენ მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახ(ებ)ის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ხელახალ გადამოწმების ან მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის შეწყვეტის საფუძველს.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 მაისის დადგენილება №217 – ვებგვერდი, 19.05.2015წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 აგვისტოს დადგენილება №389 - ვებგვერდი, 09.08.2016წ.

თავი V. კონტროლი, ზედამხედველობა და დაფინანსება

მუხლი 13. კონტროლი და ზედამხედველობა

მონაცემთა ბაზის ფორმირებისა და ამ წესით გათვალისწინებულ მოქმედებათა შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №672 - ვებგვერდი, 31.12.2018წ.

მუხლი 14. დაფინანსების წყარო

მონაცემთა ბაზის ფორმირება უწყვეტი პროცესია. მისი დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს როგორც სახელმწიფო ბიუჯეტი, ისე საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახსრები.